

## წაგებით დაინტერეს

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 18 აგვისტო.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (0:1).

“ჩერნომორეცი”: კრამარენკო, ნეჩაევი, ლეშჩუკი, რიბაკი, პლოსკინა, ფეიდმანი, პოლიშჩუკი (საპოუნიკოვი), უსტიმჩიკი, მაკაროვი, პოგორელოვი, შევჩენკო (ნაპრეევი).

“დინამო”: გოგია, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ხინჩავაშვილი, მუჭირია, ესებუა (წერეთლი), მ. მაჩაიძე, ქორიძე, ჩელებაძე (ჩივაძე), ყიფიანი, დარასელია.

მსაჯი: ვ. ფარდმანი (ეისკი).

დუბლიორები – 0:2.

მატჩის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ოდესელთა უფროსმა მწვრთნელმა ა. ალესკეროვმა განაცხადა შემდეგი: “ეს იყო “ჩერნომორეცის” საუკეთესო მატჩი ბოლო ორი წლის მანძილზე”.

მწვრთნელის ეს სიტყვები ერთობ მრავლისმეტყველია. მასპინძლები მინდორზე გამოვიდნენ ნამდვილი საბრძოლო განწყობილებით. მათს რიგებში მნიშვნელოვანი გადაადგილებანი მოხდა და გუნდმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა. მაგრამ წარმატების მოპოვება მათ იმანაც გაუადვილა, რომ დინამოელთა შორის არ იყვნენ უძლიერესი მოთამაშეები ჭელიძე და გუცაევი. ჭელიძის არყოფნა სერიოზულად დაეტყო მცველთა ურთიერთმოქმედებას ყველაზე სახითვათო ზონაში, ხოლო შეტევაში სისტემატურად იგრძნობოდა გუცაევის მწვავე გარღვევების დანაკლისი.

ოდესელებმა თავიდანვე ხელთ აიღეს უპირატესობა და ბევრი შეტევა განახორციელეს, თუმცა გადამწყვეტ სიტუაციებში თავდამსხმელები ჰგუთდებოდნენ და კარგავდნენ ბურთის გატანის კარგ შესაძლებლობებს.

დინამოელებს ამ ხნის მანძილზე საპასუხო იერიშები მიჰყონდათ. ერთ-ერთი მათგანი 30-ე წუთზე კარგად გაითმაშეს ყიფიანმა და დარასელიამ, ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ “ჩერნომორეცის” თამაში უფრო მოთიქრებული და გეგმიანი გახდა, ამასთან ყველათერი გადაწყდა დასაწყისშივე: 49-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება შეძლო მაკაროვმა, 3 წუთის შემდეგ კი პოგორელოვმა გამოიყენა ებრალიძის შეცდომა და მეორედ აიღო სტუმრების კარი.

“ჩერნომორეცი” საკმაო ხანს არ დაუთმია უპირატესობა, ბოლო 15 წუთის მანძილზე კი თბილისელები განუწყვეტლივ უტევდნენ. ოდესელთა კართან ზედიზედ შეიქმნა საგოლე სიტუაციები, სადაც ყიფიანს, დარასელიას, მაჩაიძეს, რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ ეხსნათ გუნდი დამარცხებისგან, მაგრამ ეს მომენტები ვერ გამოიყენეს, ამას გარდა, კარგად ითამაშა მეკარე კრამარენკომ.

“ლელო”, 21 აგვისტო, 1976 წ.